

1-2 1995

ISSN 0132-8015

ქართული
ლიტერატურის
კარგს სახელად რა დავარქო?

თანადი

საბირისა და იუმორის ურნალი

136
1995

1-2, 3-4

ნახ. ჯ. ლოლუასი, თემა შ. სინარულიძისა

26-15



არშანდელი წელიწადი ხომ ძაღლას წელიწადი იყო და
ღღურადაც ვაცხოვრეთ. ახე თუ ვაგრძელებდეს ძეგ-
იც აღარ გვეჩვენება.

ახალი წელი დაიწდა, მრავალტანჯულო სამშობლოვ,
 ღვთისმშობლის კალთა-აკეანში დარწმუნო და ნაშობო!
 შენთან არიან შვილები სულში ანთებულ ხანთლებით,
 რომ გულდაკოდელ სამშობლოს ნუგეშად გითხრან
 სათქმელი!

მხარს გიბამს ქართლი ნაქები, თავიხი ნაღდი
 ქართლობით,

ნაფიცი მზეჭაბუკებით, ოდიტანვე რომ ნათობდი
 შენთან ღვას ვაზის ნაჭურით ჯიქანდამსკდარი კახეთი,
 რომ გაგვიზღაპრა მამული ჩრდილოეთით და სამხრეთით!
 ვინ მოასწრებდა მოლოცვას დიდი აკაკის იმერეთს,
 ვინც „ცა-ფირუზი“ გიწოდდა, გაგიჭაბუკა სიბერე!
 გულზე გაგიბეს სიმები „ჩაკრულოსა“ და „ურმულის“,
 რომ გაგიგრძელდეს სიცოცხლე, ვით „კრიმანჭული“
 გურული!

ჩვენს საქმოსა და სადროშეს ქვეყნად ვერავენ
 მოგვიშლის,

ოდიშურ ქანცებს გივხაზენის უღამაზენი ოდიში!
 ხვანეთის ლოცვა გფარავდეს, — მთებზე დადგმული
 სპექტაკლის,

„ლილეოსავით“ მაღლის და უშხახავით სპექტაკლის!
 სულ იავნანად გეფინოს რიონის ტალღის რიონი,
 ხან — ლენხუმივით გულუსვი, ხან — მსუფვე რაჭულ
 ლორივით!

გლოცავენ თუმ-ფშავ-ხეხურნი, მუნღჩაუხრელი
 დარაჯნი,
 რომ დაუცავხარ მრავალჯერ ცხენ-ახჯრით, ფართი,
 ფარაჯით!

ცერზე დამდგარან შვილები აღმოსავლით და დასავლით.
 აფხაზეთის და აჭარის — ორი კაშკაშა ვარსკვლავის!
 მრავალ ახალ წელს ვუსურვებთ შენს სამზევოს და
 სადროშეს,

რომ იბატონოს მშვიდობამ, თვალში ცრემლები ამოშრეს!
 რომ არახოდეს გვენახო დაყოფილი და დამილილი,
 ძმა — ძმაზე ამხედრებული, სოფელ-ქალაქი — აშლილი!
 შენი ღედობის სახელი ქვეყნად ვერავენ შელახოს,
 სულ მალე გალაღებული, თავისუფალი გვენახო!

გვრამ კლდიაშვილი



— მორჩი ძმაო, თორემ ამდენ ბერვაში კვერცხს
 დადებს და იცოდე, იმას ცალკე ვიანგარიშებ.

ნახ. ჯ. ლოლუასნი,
 თემა შ. სინხარულიძისა

1999 წლის 31 დეკემბრისა და 2000 წლის 1 იანვრის საახალწლო



20.532

სახალწლო-გაზეთი

სონში. დასასრულს უახლოვდება საერთაშორისო აეროპორტისა და საზღვაო ვაჭლის მშენებლობა, რომლებიც ერთდროულად მიიღებენ და გაისტუმრებენ 100 ათასამდე უცხოელ დამსვენებელს.

ცნობილი. ცნობილია სახაჭაპურე ფირმა „ხაბიზენებმა“ საახალწლოდ გამოაცხო მემილიონე ხაჭაპური. ერთი ხაჭაპურის წონა შეადგენს 10 კგ-ს, აქედან 9 კგ ყველია. ფირმა გარანტიას იძლევა, რომ მომავალ წლიდან თავისი პროდუქციის ნახევარს გაიტანს საზღვარგარეთ.

ბათუმი. გუშინ ბათუმის ნავსადგურიდან გავიდა რიგით მეათე გემი, რომელიც დატვირთულია ხილით, ციტრუსებით, ჩაით, ღვინით, ბორჯომითა და სხვა პროდუქტით. აღნიშნული ტვირთი საქართველოდან გაეგზავნა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანას, როგორც საახალწლო საჩუქარი.

თბილისი. ოქერისა და ბაღეტიც ეროვნულ თეატრში შეათასედ დაიდგა ზ. ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი“. აბესალომის პარტია იმდერა ცნობილია იტალიელმა მომღერალმა ლუჩანო პავაროტიმ. ოპერას ესწრებოდნენ იტალიისა და საქართველოს პრეზიდენტები.

რუსთავი. დღეს რუსთავში ჩატარდა რუსეთისა და საქართველოს მეტალურგიული ქარხნების გენერალური დირექტორების შეხვედრა. შეთანხმდნენ, რომ მათი ქარხნები თავისი პროდუქციით ერთობლივად მოამარაგებენ ევროპის ქვეყნებს.

ბორჯომი. მსოფლიოში ცნობილი ფირმა „კოკა-კოლას“ პრეზიდენტი ბორჯომის წყლის ჩამომსხმელ ქარხანას ეწვია. მან სურვილი გამოთქვა, რათა „ბორჯომი“ და „კოკა-კოლა“ სხვადასხვა მოცულობის, მათგან ერთი ფორმის ტურქულში ჩამოიხსნას.

წითლისი. იაპონიის საავტომობილო ფირმამ „ტოიოტამ“ დახმარება სთხოვა ქუთაისის საავტომობილო ქარხანას, რათა ერთობლივად შექმნან 21-ე საუკუნის ახალი ტიპის მსუბუქი ავტომობილი, რომლის სახელწოდება იქნება „ჯაჭვის ხიდი“.

ოფორბატი. ცეკლონის ჩაის სპეციალისტები მოწინავე გამოცდილების გაზიარების მიზნით ეწვივნენ



ოზურგეთის ჩაის გადამწონ ფაბრიკას. მათ აგრეთვე დაათვალდერეს კურორტი ბახმარო და ნაბეღლაის მინერალური წყლების ჩამომსხმელი ქარხანა, ინახულეს ჩოხატაურის კულტურის სახლი და საავადმყოფო. სტუმრები აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ.


ბაზრა. სასტუმრო „აფხაზეთის“ კონფერენც-დარბაზში მოეწყო სემინარი თემაზე „ქართველთა და აფხაზეთა ურთიერთგაგება, როგორც ეტალონი ხალხთა თანამეგობრობისა“. სემინარს ესწრებოდნენ ამერიკის, საფრანგეთის, ინგლისისა და იაპონიის შრავალრიცხოვანი მეცნიერები და ჟურნალისტები.

ფოთი. მსოფლიოში ცნობილი 12 ყველაზე დიდი და საუკეთესო გემი დგას ფოთის ნავსადგურში. ფოთის ფილარმონიის დიდ დარბაზში ერთმანეთს შეხვდნენ გემის კაპიტნები პირადი შემადგენლობით. დასასრულს გაიმართა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ ფოთის საზღვაო სასწავლებლის კურსანტები და საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის სიმფონიური ორკესტრი.

ბორი. რამდენიმე დღეა გორში სტუმრად იმყოფება გერმანიის პიტლერის სახლ-მუზეუმის გენერალური დირექტორი. მან მოინახულა სტალინის სახლ-მუზეუმი და გამოცდილების გაზიარების მიზნით შეხვდა ამავე მუზეუმის გენერალურ დირექტორს. საუბარმა გულთბილ ვითარებაში ჩაიარა.

მცხეთა. სვეტიცხოვლის დიდ ტაძარში ჩატარდა წირვა. წირვას ესწრებოდა რომის პაპი.

მასალები ჟურნალებიდან და გაზეთებიდან ამოკრიფა
შანი სინარულიაძე





ფ ი ც ი

– ფიციან, ვილაპარაკო ტყუილი, ტყუილი და მხოლოდ ტყუილი! – მას ბანჯგვლიანი ხელი წიგნზე ედო, კუდით კი მარცხენა ფეხის მოფხანას ცდილობდა! ფიცი დასრულდა.

ალბათ ისიც უნდა ითქვას, რომ დიდი ქართველის შემკვიდრეს ფიცი არასოდეს დაურღვევია!

– ტყუი-ლი! ტყუი-ლი! – ისმოდა ბანჯგვლიანთა მწყობრი შემახილები!

კარვიდან კვამლი ამოდიოდა.

მზე ჩადიოდა.

ქვეყანას ციოდა.

სატანა კი, საქართველოს წინააღმდეგ საომრად მიდიოდა..

მოსაწვევი
ბარათი

ჩვენმა მკვილმა ბუხუტი კილიას ძე მიქაბერაძემ მოახდინა ევგენა შაქროსაძის ბარათების პროექტიზაცია!

დღეოფლის პრეზენტაცია შედგება 2 იანვარს, საღამოს ხუთ საათზე, რესტორან „ჯორჯიაში“

გამსივთ, გვეწვიეთ და გაახაროთ ფირმა ჩვენი!

მედიისა და კომუნიკაციების მმართველობა

11.95



ჰ.



უხიტყვოდ

ნა. პ. კუციანი

სადალოზო სჯიქონეპი

70 წლის გუიბე გიხსანელს



სასტენდო სროლის

საქვეყნოდ

ალიარებულ დიდოსტატს —
დამფუძვნელს „მფრინავი
თეფშების“ —
გებვევი, გკოცნი, გილოცავი..

გადახდილი გაქვს შიში და
ძნელი სპორტული ბრძოლები..
გებვევი, გკოცნის, გილოცავს
მსოფლიოს ყველა მსროლელიც!

ყველგან ხალხით

გზედებოდნენ —

უძლევე ჩემპიონს, რეკორდსმენს..
ქალები იბადრებოდნენ —
უნდოდათ, გადაეკოცნე!

დღესაც ლეგენდად ახსოვხარ
პლანეტის მრავალ სასროლეთს..
არ გეკარება სიბერე —
ახლა ხარ, ზურაბ, საცოლო!

მწვრთნელი ხარ

სახელგანი,

მადლიან-მადლობიანი..
აღწარდე: იმნაიშვილი,
უღენტო და მატოიანი..

ბავშვობიდანვე ისროდი

და, რა დასამალავი, —
არც გაგიკარავს, — მოკვლით ხომ
შენ არ მოგიკლავს არავინ!

გატაცებული იყავი

ნადირობით და ფეხბურთით..
სკოლის მოსწავლე წახვედი
ომში — გმირობა

გეკუთვნის!

დაგაჩილდოვა გამჩენმა

ნიჭითაც იუმორისა
და შეახხარ კორესპონდენტად
„ნიანგს“ რჩეულთა შორისა!



ყველა დირხებით შემკული
ხარ ღვაწლმოსილი ქართველი
სიკეთეს თესავი სახეზე
გადაგდის ოქრონათელი!

ამბობ: „სროლის ხმა, მსურს, მარტო
სასროლეთებზე ისმოდეს“
დმერთმა გისმინოს იხარე!
ვისურვებ დიდხანს სიცოცხლეს!

ზაურ გოლგვამი


შეგობრული შარჟი

თენგივ გოგოლაძისა



უსიტყვოდ

ნახ. ბ. ზუბაშვილისა



შესწორი იუბორი

რჩევა

— ფროილიან ზილდეს მშვენიერებამ მომხიბლა და მინდა, ცოლად შევიერთო. თუმცა, ცოტა არ იყოს, ქარაფშუტა კია — უთხრა კარლმა მეგობარს.

— არ გამოგადგება! შენ ისეთი ქალი უნდა შეიერთო, რომელსაც ორი ადამიანის ჭკუა ექნება — მიუგო მეგობარმა.

საუკრადღებო ინფორმაცია

— შეიძლება თქვენი უფროსის ნახვა? — იკითხა ქალმა მისაღებში.

— რა თქმა უნდა! — უპასუხა მდივანმა, დაუყოვნებლივ მივიღებთ, იგი მშვენიერ ქალებს არასოდეს ალოდინებს!

— ჩინებულია გადაეცით, თქვენი ცოლი მოვიდათქო!

საზრუნავი

— ჩემი ქმარი აუტანელია. შინ ყოველთვის გვიან ბრუნდება, თანაც — შეწარხოშებული, ხელფასიც არ მოაქვს, წონაში უკვე ათი კილოგრამი დავიკელი — შესჩივლა მონიკამ მეგობარს.

— მერედა, აგრე რად ეწამები, რატომ არ გაეყრები?
— საქმე ის არის, რომ... კიდეც ორი კილოგრამის დაკლება მინდა!

საუვედური

— ეს საშინელებაა! — უსაყვედურა ცოლმა მაქსს, — შენ ზეპირად იცი ფეხბურთში პირველობის გათამაშების კალენდარი და ყველა ფეხბურთელის გვარი და სახელი. მაგრამ სანაძღერს დავდებ, რომ ჩვენი ქორწინების თარიღი არ გახსოვს!

— როგორ გეკადრება, ჩემო ძვირფასო! ჩვენ მაშინ ვიქორწინეთ, „მოტორმა“ „ტემსს“ რომ მოუგო.

სპეცტაკლზე

ქმარი: შეხედე, შეხედე, შეიქვსე რიგში ქალს ძინავს!

ცოლი: მერედა მაგისტვის გამაღვიძე?

გულანდილოვა

ვაჟი: ცოლს ვირთავ და იცოცხლე, ბევრს გაუტრუფდება იმედი!

ქალი: რატომ ბევრს? შენ ხომ ერთს ირთავ?

გერმანულიდან თარგმნა
ზოტა ამირანაშვილი

შრომსკვ



ქარბა ხანია დაიწყო ექსპანსია ძველი თბილისის მიმართ, მაგრამ ის, რაც ახლა ხდება, ყველა ზღვარს სცილდება. მეორედ მოხვდეთ, რომ იტყვიან, სწორედ ის არის...

81-82 წლების ვასაყარზე რომ დაიფრფლა, დაინგრა და ივარიქმნა თაობების მიერ ნაგები და ნალოლია-ვები რუსთაველის გამზირი, მაშინ ერთხელ კიდევ ჩაიფრფლა იმის იმედი, რომ გამთელდებოდა ძველსა და ახალ თბილისს შორის გადებული ხიდის ბზარები.

მართალია, ნუგეშიც მოგვცეს: ისევ აღდგებოდა, ისევ გაშლის ფრთებს და ისევ იკეკლუცებსო რუსთაველის გამზირი, თუმცა ბევრმა უიმედოდ ჩაიქნია ხელი და ჯერჯერობით, როგორც ჩანს, არცთუ უსაფუძვლოდ, ჯერ მხოლოდ ფასადების აღდგენითა ვართ გართული; თუ არ ჩავთვლით მთავრობის სახლს, რომელიც შესაშური ტემპით აღიდგენს როგორც გარე, ასე შიდა სახეს...

მეორედ მოხვდა ვახსენეთ. თუ შემოსენებული ნგრევა-განადგურება დიდი პოლიტიკური კატაკლიზმების შედეგი იყო, იმავე რუსთაველის გამზირზე (და, სამწუხაროდ, არა მხოლოდ აქ) უკვე ე. წ. მშვიდობიანობის ხანაში, მშვიდობიანი ხერხებითა და სასიკეთო საბაზრო ეკონომიკის დროშით, საოცრად სწრაფი ტემპებითა და თავდაუზოგავი სიშმაგით ბოლო ეღება ტრადიციულ მაღაზიებს...

ჩავუყვებ რუსთაველს.
„ებ, სადღა ნახავ ელამ მიკიტანს“:

აღარ არის ძველისძველი ბორჯომის წყლის მაღაზია, ახლა მას „ამშვენებს“ მიწამული აბრები, რომლებზეც თეთრი ასოებით აწერია „კავკასიონი — კოკა-კოლა“. დევნილმა ბორჯომის წყლებმა ახლა ქუჩებისა და სანაპიროების ტროტუარებზე გადაინაცვლა, სადაც საეტევო წარმომავლობის პირნი მამასისხლად ვიფასებენ ბუნებით ბოძებულ ამ სიკეთეს.

აღარ არსებობს მაღაზია „საქართველოს ჩაი“. მასაც „კოკა-კოლა“ დაპატრონებია. მაღაზიაში არის, რა თქმა უნდა, კოკა-კოლა და ბევრი სხვა რამ, ყველაფერი იმპორტული, მაგრამ ჩაისი ვერც ქართულსა და ვერც უცხოურს, სანთლით რომ ეძებო, ვერ ნახავ.

გულსაკლავად გამოიყურება „ლაღიძის წყლები“, მისი ფარლალა და რაბაზები. უწარმავარ ვიტრინებზე ერთადერთი განცხადება გამოკრული: „ლაღიძის წყლები“ აწარმოებს ყველის შესყიდვას (!) შეთანხმებულ ფასებში“ (მაი გიდი, რატომ საფლავში არ გადატრიალდები, დიდო შიტროფანე ლაღიძე!).

დიდი ხანია გაქრა ოპტიკის მაღაზია, ახლა აქ ნაყინი იყიდება, 7000-მანეთიანი ნაყინი, და ჩხაქუნობს ატრაქციონები.

კომერსანტების მიერ ოკუპირებულია წიგნის პირ-

ველი მაღაზიის დიდი ნაწილი, ათამდე პატარა და დიდბ ჩიხური, კაფე, მაღაზია ჩაუდგამთ პარლამენტის შენობის მოპირდაპირე 50-მეტრიან ჩიხში. იგი ჩახერგილია მანქანებით, რკინის მოაჯირებით, რის ვაი-ვაგლახით მიიკვლივენ გზას ქვეითად მოსიარულენი კიბისაკენ, რომელიც უმოკლესი მანძილით აკავშირებს დედაქალაქის მთავარ ქუჩას სამხატვრო აკადემიასთან და მიმდებარე საცხოვრებელ უბნებთან.

წვრილ-წვრილი დახლებითაა გამოტენილი სადარბაზოები, ეზოების შესასვლელები; დახლებზე ერთად ყრია წიგნებიც, საღებო რეზინებიც და პრეზერვატივებიც. მათ გარშემო კი ქაღალდებისა და მუყაოს ყუთების გროვებია და კიდევ... ნაგავი. ნაგავს მიაქვს ყველაფერი — გვერდს ვერ აუვლი ნაყინის შესაფუთ ქაღალდებს, კურკრავანი თუ თესლოვანი ხილის ნარჩენებს, სიგარეტის ნამწვებს, ფურთებს...

ისე, კაცმა რომ თქვას, რას ერჩოდნენ საბჭოთა წყობას. მაშინ იყო, რუსულმა წარწერებმა აავსეს ფირნიშები და აბრები, ახლა ინგლისურმა ავგვიტრელმა თვალეები — კომერსულ შობ. ასოშიეიშნ, კონცერნ, ბენკ, კომპანი, ლიმიტედ, ექენსი...

აღმიანიცი სხვაგვარი ემსახურებიან ამ ახალგაბოჩეკილ ობიექტებს. სხვა ჩაცმულობა და იერი, სხვა. მისრა-მოსრა, ჯიჭური გამოხედვა და მეტყველება ჩვეულებრივი მოკვდავისათვის გაუგებარ ენაზე. ყალბი ღიმილი და ბოლი — „ელემ“-ის, „ქემელ“-ის, „მარლბორო“-ს საამო ბოლი...

მოვარდა, მოზვავდა ცრუ ბიზნეს-კომერციის, ნგრევის, გადაკეთების, გადასხვაფერების, სპეკულანტური აღებ-მიცემობის მორევი და ლამის ერთიანად წაღეკოს რუსთაველის გამზირი — თბილისის ერთადერთი ვანუ-მეორებელი ოაზისი.

დაახ, შარშანდელი თოვლივით გაქრნენ პირისაგან მიწისა-ქართული ბორჯომისა და ჩაის მაღაზიები, დაცარიელდნენ ქართული დვინის, ქართული წყლის, ქართული წიგნის მაღაზიები — დედაქალაქის მკვიდრთა და ყველა ქართველთა სავანეები, ჩვენი პაემანის, ჩვენი თავმოწონების ადგილები...

„კოკა-კოლა“, „კოკა-კოლა“... იქნებ ბარემ ყველაფერი ამ ფირმისათვის დაგვეთმო და რუსთაველის გამზირისთვისაც „კოკა-კოლა აგენიუ“ დაგვერქმია!

ასე, ერთი ხელის დაკვრით რომ წაგშლიან. ამოგპირკვავენ და სულ სხვა სამყაროში გიკრავენ თავს, სხვისი არ. ვიცი და მე კი, რა ვქნა, ვერ ვეგუებო.

ვერ ვეგუებო და ერთი, ერთადერთი კითხვა მიდრღნის ტვინს — ვინ ან რა მართავს ამ პროცესს — საღი აზრი თუ უაზრობა, კანონი თუ მოძალდებული სტიქია, ფული თუ უფულობა?

გივი პეტრიაშვილი

სინარულიკის
მეზღვევანი



— ორი სნიკერსიც ჭეკას უყიდვი!

საქართველო - ერთიანული საქართველო

მადრება

ღმერთო დიდებული ხალახს
მოვძოვ და
ხმელ პურზე ვიქნები ყაბულს,
ოღონდ შვილიშვილმა, პატარა
ლევიანკომ,
არ მითხრას — შვიაო, ბაბუი..

მონანიება

ვლანძღეთ და ვთათხეთ, ვლანძღეთ
და ვთათხეთ,
მაინც შეგვინდო — გვიძმო..
დღეს გონს მოსულნი, შენზე
ორსულნი,
ბოდიშს გინდით, კაპიტალიზმი..



ასე, ჩემო მანასეო..

ვითომ ვაშენებდით კომუნის
„უღიადეს“
(ასე გვიბრძანეს და მიტომ),
ვითომ მივყვებოდით გზას
ტაძრისაკენ,
ვითომ... ვითომ... ვითომ..
ახლა კაპიტალიზმს ვეტრფით
სულთმობრძენი
(ასე გვირჩიეს და მიტომ),
გადაგვარჩენსო.. აგვაშენებსო..
აგვაყვავებსო.. ვითომ?!

ოპტიმისტური ტრაგედია

რა ჩამოყარეთ ყურები,
სავიფიშო რა არის? —
კი, გეშია, — არ გვაქვს კარაქი,
ხორცი, რძე, პური, შაქარი,
ძაფი, ნათურა, ასანთი,

ლურსმანი, კარის საკეტი,
ზეთი, მარილი, საპონი,
გაჭი, ცემენტი, პარკეტი..
...არ გვეყოფოდა ქაღალდი
ჩამოსაწერად ამ ნუსხის,
მაგრამ ჯერ მთავარს მივხედოთ —
არ დავთმოთ ხინდის-ნაშუსი
ნუ გეშინიათ, ინათებს,
ჩვენთან არს ჩვენი უფალი
კი, გეშია..., სამაგიეროდ
სომ გავხდით თავისუფალი?!

პურის დიება

გემახსოვრებათ, მე მგონი, —
თავდებად წონის დაკლები, —
პურის შეზღუდვას გვირჩევდნენ,
არც მეტი, არცა ნაკლები
დღეს მხოლოდ პურით
ვსულდგმულობ
(ვაი, ჩვენ, ასეთ ყოფაში),
მაგრამ გავხუჭდი კი არა,
სკვინჩას ვეწივი წონაში..

ქაშელეონი

მაშინ (კარგად მახსოვს)
სხვა მანგზე მღეროდი,
დღევანდელს რომ არ მგავს, თანაც
უპრინციპობაში ბრალს სდებს
მავან-მავანს!
რა ჰქვია შენისთანას?!

ვაიკოლიტიკოსს

პოლიტიკა და ტაქტიკა, —
მტერს რომ ას ხაფანგს დაუგებს, —
სიბრძნეა, ძამა, ისეთი,
შენ რომ ვერაფერს გაუგებს!

ძმას

ძმაო, ძმით იყავ ძლიერი,
შეუპოვარი, ღოშგული,
პრ გაშინებდა მოსისხლე,
ვერას გაკლებდა ორგული!
დღეს რა ეშმაკი შეგიჭდა,
რა სურს სატანას ტიალსა?!
„ქართველს ქართველი ამარცხებს,
სხვა ვერგინს!“ — უთქვამს ჰეგიანსა.



ფაცია და ინფლაცია

თვალყურუნა ფაცია,
ტანკენარმა, გრაცია,
კომერციულ ფახეში
ამუსს ზურგი აქცია..

არ აწუხებს ფაციას
დღეს ბიპერინფლაცია...

მიზეზი

„ასჯერ გაზომე და ერთხელ
გაჭერი!“ —
ასე მაჩნდათ ძველად!
ჩვენ კი გაუზომლად ასჯერ რომ
გავჭერთ,
მიტომ დავისაჯეთ ყველა!

წნეობის დეფინიციისა

ქუჩაში შემომხვდი სახეგაბადრული,
„რამ გაგახარა?“ — გკითხე.
„ბიჭებს, იქ რომ დგანან, ასანთი
ვათხოვე და
— დიდი მადლობაო! — მითხრეს!..“

— მაგარი ხელი, მაგარი ხელიო, რომ იძაბიან, მე
მაქვს მაგარი ხელი და წამიყვანონ მოვროხაში!



რეკომენდაციები ქართველებს!

ისეთი საყინულეა ჩვენს კომუნალურ ბინაში,
გინდ ჩვენთან შემოსულსარ და გინდ
დარჩენილსარ ფინვაში,
გარეთ თუ ყინავს, ჩვენთანაც ჩვეულებრივად
ნულია,
გრაფინში წყალი თუ დარჩა, დილაზე
გაყინულია.
ერთ საიდუმლოს გაგანდობთ, დედაკაცებთან
ბოდიში,
რა გაგვამრავლებს ქართველებს, პალტოთი
ვწვებით ლოგინში.

ფეხები მომეყინება, ძილში საბანს თუ
გადვიხდი,
რა ვქნა, ამ ბოლოს ძილის წინ აღარც
ბატინკებს არ ვიხდი.
ანგელოზივით ქალია ჩემი მეუღლე ფაცია,
მაგრამ რად გინდა, ლოგინში თბილი
„ბუშლატი“ აცვია.
ჩახუტება რომ მომინდეს, ვერ შემოსწვდება
ხელები,
გავხდი და გამიცვივდება, ვასკდება
ცხიკებ-ხელებით.
გრიპი მემინვაარებს თბილისში, სანთლით
ვერ ნახავ ჯანმრთელებს,
გათბობა თუ არ ჩაგვირთებს, რა
გაამრავლებს ქართველებს?!

ნიკოლოზ იოსებია

**თანამედროვე მართლმადიდებელი გავრცელების
შინაგარეული კამპანია**

„ათლეტი“, „ათლეტიზმი“, „ათლეტიკა“...
 „აისბერგი“, „სტალაგმიტი“, „სტალაქტიტი“, „უი-
 ნულის ლოლუა“...
 „ასავალ-დასავალი“, „მოსავალ-წასავალი“, „შემო-
 ხავალ-გასავალი“...
 „ახალი თაობა“, საშუალო თაობა“, „უ თაობა“...
 „ბიზნეს-კურირი“, „ბიზნეს-კლუბი“, „ბიზნეს-
 ბანკი“...
 „დედაშიწა“, „მზე“, „მთვარე“, „ვარსკვლავები“...
 „დრონი“, ახალი დროება“, „ვაბ, დრონი, დრონი“...
 „კახეთი“, „დიღმის მასივი“, „მეტროს დასახლება“...
 „კოლაფი“, „აფილტვაფი“, ვოიაფი“, „კურაფი“, „შანტა-
 ფი“...
 „მამული“, „ჩემი მამული“, „შენი მამული“, „სხვისი
 მამული“...
 „მართალი სიტყვა“, „ტყუილი სიტყვა“, „ზოგი ტყუ-
 ილი, ზოგი მართალი“...
 „მენორა“, „შენ ნორა“, „ის ნორა“...

„მესამე გზა“, „მეხუთე გზა“, „ათვი გზა“...
 „ნათლისვეტი“, „ნათლისღება“, „ნათლისცემა“...
 „ოღლა ბებია“, „მურადა“, „ილიკო და ილიკონი“...
 „ომი“, „მშვიდობა“, „ომი და მშვიდობა“...
 „სიმართლე“, „მხოლოდ სიმართლე“, „არაფერი სი-
 მართლის გარდა“...

ულტრამინიატიურები

გამოკახებული სანტექნიკოსი არ მოვიდა, ოქაბში ბევრი არ უფიქრიათ, გაგულისებულემა რკინიგზის ხაზს მიაშურეს და... მოძრაობა გადაკეტეს (მათ რამდენიმე მეზობელმაც აუბა მხარი...).

— რას შვრები, ამ შიმშილობისას რას ვამ, რას სვამ?

— რას მჭვია, რას ვჭამ, რას ვსვამ? საუზმედ დემოკრატიას მივირთმევ, სადილად — თავის უფლებას და ვახშმად კიდევ — დამოუკიდებლობას..

ე. თამაზაშვილი




— ღმერთო, შენ მიწვევლი, 100-მდე ძლივს ვისწავლე თვლა, ახლა მილიონები როგორ ვიანგარიშო?!
 ნახ. ჯ. ლომუასი
 თემა მ. სიხარულიძისა



ზამთარი თბილისში

შართალია გაგებარცვებს შარა
ავტობიტი დარჩენით და ახლა
ჩვენ დავიწყით ვინაღობა.



თავისუფლება — ხალხს!

„თავისუფლება — ხალხს!“
ვიღაცა უწევს ხმას
და მერე...
იარაღით იმშვენებს ტანს.
ვიღაცა ხრავს,
ვიღაცა სვამს
და ემსგავსება სვავს.
ვიღაცა კლავს,
ვიღაცა ფქვავს,
ვიღაცა ნატრულობს ჭვავს.
ზოგი შეპყრებს ცას,

ზოგი თურქეთის გზას,
ვაჭრობა მოედო შთასა და ბარს.
ქალი აღარ ჰგავს ქალს,
ბავშვი აღარ ჰგავს ბავშვს,
ბევრი ისქვლებს ფაშვს.
„თავისუფლება — ხალხს!“
ვიღაცა უწევს ხმას,
ვიღაც ვიღაცას კლავს.
ნაგავი ყრია შთად,
წყალი ამოდის გზად,
ხელფასი ნამორჩა ფასს

და მაინც...
არეინ იწუნებს თავს,
არავინ ღიღებს ხმას
და უფრთხილდება ტყავს,
წვალებით ნაშოვნ სკამს.
„თავისუფლება — ხალხს!“

შანანა ყაფანაშვილი,
კასპის № 1 საშუალო
სკოლის პედაგოგი.



შტატალი „ნინას“
№ 1-2 (1887-1888), იანვარი.
გამოდის 1923 წლის
ივნისიდან.

შთავარი რედაქტორი
ზაურ ბოლქვაძე
შთავარი რედაქტორის
შთადგილდე, გენერალური
დირექტორი
ზაფან სისარულიძე

სარედაქციო კოლეგია:
შურთან აბაშიძე, კახუა
ამირჯიხი, ნოზაღი ხართა-
ია, რეფან თვარაძე, ქემალ
ლოლუა (შხატვარ-რედაქ-
ტორი), ნოდარ შალაზონია,
რიხან შაინოშვილი, რე-
ვან შაშველაძე, ალექსანდრე
სამხონია, შხებილ ქელი-
ვაძე, **გავი პეტრიაშვილი,**
დერი ჩანტლაძე, ქან-
ხულ ჩარკვიანი, თამარ წევ-
წიაძე, ილუქია კინჭარ-
ული.

ტექნიკური რედაქტორი
ვახტანგ დონნაძე

გადაცა ასაწყობად
14.03.94 წ., ხელმოწერი-
ლია დასაბეჭდად 25.12.94 წ.,
ფორმატი 60x90/8, ფიზი-
კური ნაბეჭდი ფურცელი
2. სააღრიცხვო-საგამომცემ-
ლო თაბახი 2. საქართველოს
ეურნალო-განვითების პოლიგ-
რაფიული კომპინატი „პრე-
სა“
შეკ. № 272. ტირაჟი 10,000.
ეურნალი გამოდის თვეში
ორჯერ.
გამომცემლობა „სამშობლო“
კოსტავას ქ. 14.

რედაქციის მისამართი:
260006, თბილისი 8, რუს-
თაველის პრ. № 42.

ტელეფონები: შთავარი
რედაქტორის — 99-55-54;
შთავარი რედაქტორის მო-
ადგილის — გენერალური
დირექტორის — 93-19-42;
შხატვარ-რედაქტორის —
99-02-38, განყოფილებათა
გამგებების — 93-10-78,
93-49-32; მდივან-მეშენქა-
ნის — 99-76-69.

ინდექსი 78187
შანსი 1000000 კუპ.



—ბაბუ, რატომ დაიგვიანე?
—რა შექნა შუღლი, ხამი დღა ლოფტში ვარ გაჭვლილი.

ნან. ა. ლომიძის
უკმა შ. ლომიძის

საბავშვო
სამყარო